ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/148

ქ. თბილისი

13 ივნისი, 2019 წელი

ერთი მხრივ, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2), წარმოდგენილი - **გენერალური დირექტორის გიორგი შარკოვის სახით** (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, **შპს „კოლორპაკი“**(იურიდ. მის: ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ჩიხი №20) წარმოდგენილი - **დირექტორის გიორგი ჟორჟოლიანის სახით** (შემდგომში „მიმწოდებელი“), შემდგომში ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 2019 წლის 06 ივნისის SMP190002481 მიმართვისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 11 ივნისის №2581 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) - ორგანიზაცია, რომელიც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანხებით ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვას.

1.2. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

1.3. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება,მასზე თანდართული დოკუმენტით,

1.3.1 დანართი №1-ტექნიკური დავალება და ფასების ცხრილი;

1.3.2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულება.

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5. ,,საქონელი“ - სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

1.6. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ **ინფორმაციული სახის სტიკერების ბეჭდვის** (შემდგომში „მომსახურება“)გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 **შესყიდვის ობიექტის** კლასიფიკატორის კოდი: 79800000.

2.3 გასაწევი მომსახურების დასახელება, ზომის ერთეული, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება დანართი №1-ის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს - **4'439.04** (ოთხი ათას ოთხასოცდაცხრამეტი ლარი და ოთხი თეთრი) ლარს (შემდგომში - „ხელშეკრულების ღირებულება“)

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარუდო ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

4.1 მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას განახორციელებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან არაუგვიანეს **4 (ოთხი) კალენდარული დღის ვადაში**.

4.2 მომსახურების გაწევას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯით.

4.3 გაწეული მომსახურების შედეგად დაბეჭდილი სტიკერების მიწოდების ადგილი: **ქ. თბილისი, მექანიზაციის ჩიხი №1.**

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ: მატერიალური ფასეულობების მართვის სამსახურის, სექტორის/საწყობის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი; ელ.დეპო გლდანის უფროსის მოადგილე შეკეთების დარგში/მოვალეობის შემსრულებელი (შემდგომში „ინსპექტირების ჯგუფი“).

5.3 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

5.3.1 გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების დაცვას;

5.3.2 დაადგინოს გაწეული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

5.3.3 გააფორმოს მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტი და უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

6. მომსახურების საგარანტიო პირობები და ვადები

6.1 გაწეული მომსახურება უნდა იყოს ხარისხიანი და შეესაბამებოდეს დანართი №1-ით გათვალისწინებულ გასაწევი მომსახურების ტექნიკურ მახასიათებლებს და პირობებს.

6.2 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს უარი განაცხადოს წუნდებული მომსახურების მიღებაზე.

„შემსყიდველი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

_____
გიორგი შარკოვი
გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „კოლორპაკი“

_____
გიორგი ჟორჟოლიანი
დირექტორი

LLC Tbilisi Transport Company
Digitally signed by LLC Tbilisi Transport Company
Date: 2019.06.13 18:06:50 +04'00'

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/148

ქ. თბილისი ივნისი, 2019 წელი

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია წუნდებული მომსახურება გამოასწოროს შემსყიდველის მიერ შეტყობინებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7.3 მიღება-ჩაბარების აქტი დგება მომსახურების (ან მისი ნაწილის) მიწოდების დასრულების შემდეგ.

7.4 მომსახურების მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება მომსახურების გაწევის ადგილზე.

7.5 მომსახურების (ან მისი ნაწილის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ლარში, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ფაქტიურად სრულად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსახვლების სამსახურიდან.

8.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული (მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი) ნებისმიერი ასანაზღაურებელი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულებიდან წარმოშობილ და მიმწოდებელზე ვადამოსულ გადასარიცხი თანხიდან.

8.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და გადასახდელის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

9.2.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

9.2.2 მომსახურების გაწევის ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებლისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად;

9.3 შემსყიდველი ვალდებულია:

9.3.1 მიიღოს გაწეული მომსახურება;

9.3.2 მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

9.3.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

9.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

9.4.1 მოითხოვოს შემსყიდველისგან გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

9.4.2 ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად.

9.5 მიმწოდებელი ვალდებულია:

9.5.1 მიაწოდოს შემსყიდველს ხარისხიანი მომსახურება;

9.5.2 მომსახურების გაწევა განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში მოცემული პირობების შესაბამისად.

9.5.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე. აგრეთვე, დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორებისათვის;

9.5.4 შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ;

9.5.5 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა.

„შემსყიდველი"
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

გიორგი შარკოვი
გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი"
შპს „კოლორპაკი"

გიორგი ჟორჟოლიანი
დირექტორი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/148

ქ. თბილისი ივნისი, 2019 წელი

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

11.1.1 მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

11.1.2 ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

11.1.3 საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

11.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება (მთლიანად ან ნაწილობრივ), თუ:

11.2.1 მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

11.2.2 მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

11.2.3 მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას;

11.2.4 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.2.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

12.2 შემსყიდველი პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.3 მიმწოდებელი პასუხისმგებელია ხელშეკრულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში იგი ვალდებულია, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს გასაწევი მომსახურების ღირებულების 1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.4 თუ მიმწოდებელი 6.3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში არ განახორციელებს წუნდებული მომსახურების გამოსწორებას, ხელშეკრულების შესაბამისად, დაეკისრება პირგასამტეხლოს სახით წუნდებული მომსახურების ღირებულების 1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

12.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ფორს-მაჟორს მიეკუთვნება ბუნებრივი ხდომილებანი ან პოლიტიკური, სამხედრო, სამართლებრივი, შრომითი, სოციალური, საგანგებო და შეუქცევადი გარემოებები (დაუძლეველი ძალა), როგორიცაა ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემია, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და აშ.

13.3 მხარე, რომელიც ხელშეკრულების 13.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ფორს-მაჟორული გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

13.4 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.5 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"	შპს „კოლორპაკი"
გიორგი შარკოვი	გიორგი ჟორჟოლიანი
გენერალური დირექტორი	დირექტორი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/148

ქ. თბილისი ივნისი, 2019 წელი

14. დავების გადაწყვეტა

14.1 მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

15.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15.3 „ხელშეკრულების" მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების" ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

15.4 „ხელშეკრულების" ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა" მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების" შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების" სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების" შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202886788
მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი № 2
ტელ: (995 32) 2 93 50 50.
სს თიბისი ბანკი
ა/ა GE67TB7931836070100001; ბანკის კოდი: TBCBGE22

„მიმწოდებელი"
შპს „კოლორპაკი"
საიდენტიფიკაციო ნომერი: 206176109
იურიდ. მის: ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ჩიხი №20
ტელ: (+995 599) 04 48 94.
სს „პროკრედიტ ბანკი"
ა/ა GE76PC0093600100028409; ბანკის კოდი: MIBGGE22
ელ.ფოსტა: gzhorzholiani@color.ge

LLC Kolorpaki

Digitally signed by LLC Kolorpaki
Date: 2019.06.13 18:18:42 +04'00'

„შემსყიდველი"
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

_____
გიორგი შარკოვი
გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი"
შპს „კოლორპაკი"

_____
გიორგი ჟორჟოლიანი
დირექტორი

ქ. თბილისი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/148

ივნისი, 2019 წელი

დანართი №1

ტექნიკური დავალება და ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	ტექნიკური დავალება	რაოდენობა/ზომის ერთეული	ერთეულის ფასი (დღგ-ის ჩათვლით)*	საერთო ფასი (დღგ-ის ჩათვლით)*
I	II	III	V	VI	VII
1	ინფორმაციული სახის სტიკერი A3	A3 ზომის ფორმატის ქაღალდზე დაბეჭდილი ინფორმაციული სახის სტიკერი, ე.წ. "მატოვი" ლამინირებული ზედაპირით. სტიკერზე ტექსტი დატანილი უნდა იყოს ორივე მხრიდან. ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს წებოვანი. ინფორმაციული სახის სტიკერი უნდა დამზადდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი დიზაინის და წარწერის შესაბამისად.	384 ცალი	3.31	1'271.04
2	ინფორმაციული სახის სტიკერი A4	A4 ზომის ფორმატის ქაღალდზე დაბეჭდილი ინფორმაციული სახის სტიკერი, ე.წ. "მატოვი" ლამინირებული ზედაპირით. სტიკერზე ტექსტი დატანილი უნდა იყოს ორივე მხრიდან. ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს წებოვანი. ინფორმაციული სახის სტიკერი უნდა დამზადდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი დიზაინის და წარწერის შესაბამისად.	1'920 ცალი	1.65	3'168
					ჯამი: 4439.04

„შემსყიდველი"
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

გიორგი შარკოვი
გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი"
შპს „კოლორპაკი"

გიორგი ჟორჟოლიანი
დირექტორი

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080136805178219

№ 2581

11 / ივნისი / 2019 წ.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 6 ივნისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ SMP190002481 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია ინფორმაციული სტიკერი (A4 ფორმატის) – 1920 ცალი და ინფორმაციული სტიკერი (A3 ფორმატის) – 384 ცალი (CPV79800000 - ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები).

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და კონტრაქტორ კომპანიას შორის მეტროს სადგურებში ძალოვანი კაბელების, გამნიავებლებისა და მათი აქსესუარების დიზაინის, მოწოდების და მონტაჟის შესახებ 2018 წლის 21 დეკემბერს გაფორმებული NP42414-SUTIPS-ICB-1.01- Lot1 და Lot2 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში დასასრულებლად კონტრაქტორმა კომპანიამ ითხოვა სამუშაო დროის გაზრდა. შესაბამისად, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტში (მეტრო) ძალოვანი კაბელების და გამნიავებლების დროული შეცვლის ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 5 ივნისის N19.628.839 განკარგულების შესაბამისად, მეტროპოლიტენის მგზავრთა მომსახურების დრო 2019 წლის 1 ივლისიდან 2020 წლის 1 ივლისამდე პერიოდის განმავლობაში განისაზღვრა 06:00 საათიდან 23:00 საათამდე. ზემოაღნიშნული განკარგულების შესაბამისად, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ დაევალა, საზოგადოების ინფორმირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში განხორციელება.

იმის გათვალისწინებით, რომ 2019 წლის 5 ივნისს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა განკარგულება 2019 წლის 1 ივლისიდან 2020 წლის 1 ივლისამდე მეტროში მგზავრთა მომსახურების 06:00 საათიდან 23:00 საათამდე დროის განსაზღვრასთან და შემდგომში საზოგადოების ინფორმირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით, ინფორმაციული სტიკერების შეძენის აუცილებლობა შემსყიდველის მიერ წინასწარ ვერ იქნებოდა განსაზღვრული. ამასთან, ვინაიდან, საზოგადოების ინფორმირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს შეზღუდულ ვადებში, აუცილებელია სტიკერების შესყიდვა განხორციელდეს შემჭიდროებულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს, ვინაიდან მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტრო) რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ინფორმაციული სტიკერების არ ქონის შემთხვევაში შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ დროულად ვერ განახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, 2019 წლის 5 ივნისს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა განკარგულება 2019 წლის 1 ივლისიდან 2020 წლის 1 ივლისამდე მეტროში მგზავრთა მომსახურების 06:00 საათიდან 23:00 საათამდე დროის განსაზღვრასთან და შემდგომში საზოგადოების ინფორმირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით, ინფორმაციული სტიკერების შეძენის აუცილებლობა შემსყიდველის მიერ წინასწარ ვერ იქნებოდა განსაზღვრული. ამასთან, ვინაიდან, საზოგადოების ინფორმირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს შეზღუდულ ვადებში, აუცილებელია სტიკერების შესყიდვა განხორციელდეს შემჭიდროებულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს, ვინაიდან მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტრო) რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ინფორმაციული სტიკერების არ ქონის შემთხვევაში შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" დროულად ვერ განახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია გადაუდებელი აუცილებლობის აღმოსაფხვრელად საჭირო კრიტიკული მოცულობის შესყიდვა განხორციელდეს მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" SMP190002481 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე | ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად | ლევან რაზმაძე